ინსპექტირების თარიღი: 10.08.2026 წ.

დამკვეთის იდენტიფიკაცია:

შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრი“

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა №23 (ს.კ. №01.14.03.039.015)

სამედიცინო კლინიკის შენობის მშენებლობისას ზეგავლენის შეფასება არსებულ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე

შემადგენლობა

1. კვლევითი ნაწილი..... 2

2. დასკვნა 5

3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტი..... 5

4. დანართები .....დანართი №1..... 177 ფურცელი

დანართი №2..... 48 ფურცელი

დანართი №3..... 2 ფურცელი

`

კვლევითი ნაწილი

დამკვეთი შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრის“ მიერ მოთხოვნილია ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩა №23-ში (ს.კ. №01.14.03.039.015) სამედიცინო კლინიკის შენობის მშენებლობისას ზეგავლენის შეფასება არსებულ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე. კონსტრუქციული პროექტის ავტორია, კონსტრუქტორი დ. ცანავა.

საპროექტო გადაწყვეტით, კონსტრუქციული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ახალი ცალკე მდგომი შენობის მშენებლობა. შენობა სამსართულიანია, სარდაფით. საპროექტო შენობა გეგმაში რთული ფორმისაა, მისი გაბარიტები შეადგენს - 28,8X38,55 მ. მზიდი კონსტრუქციები მთლიანად გადაწყვეტილია რკინაბეტონში. შენობის საძირკვლები წარმოადგენს ერთიან მონოლითურ ფილას, სისქით 600 მმ, რომელიც დაფუძნებულია ფენა №4-ზე-(სგე-III) (ხრეშოვანი გრუნტი). ფილა საძირკვლის ქვეშ გათვალისწინებულია 100 მმ სისქის ბეტონის მომზადება, სიმტკიცის კლასით B15. საძირკვლების დაფუძნების ნიშნული არის -6,82 მ. შენობაში გათვალისწინებულია ერთი ლიფტის შახტა, რომლისთვისაც საძირკვლის ფილაში მოწყობილია 1,5 მ სიღრმის თანაორმო (იხ. დანართი 1). შენობა სარდაფის ზედა ნაწილში და ნაწილობრივ სარდაფში კარკასული ტიპისაა. სარდაფში ეწყობა სხივური თერაპიის ბუნკერი, რისთვისაც აღნიშნულ ზონაში ვერტიკალური და ჰორიზონტალური მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია მასიური რკინაბეტონით. აღნიშნულ ზონაში კედლების სისქე შეადგენს 1,0-2,35 მ, ხოლო გადახურვის ფილის სისქე 1,5-2,6 მ. შენობისზედა სართულებზე ვერტიკალურ მზიდ ელემენტებს წარმოადგენს რკინაბეტონის მათკუთხა განივი კვეთის სვეტები, რომლებიც სართულშორისი გადახურვის დონეებზე შეკრულია რკინაბეტონის რიგელებითა და ფილით, რომელიც ქმნის ერთიან ხისტ დისკს. შენობის სახურავი ბრტყელი ტიპისაა და ასევე შენობის კონტურზე განთავსებულია პარაპეტი. პარაპეტის კონსტრუქციას წარმოადგენა რკინაბეტონის გულარები, რომელთა ბიჯი შეადგენს 3,5-4,0 მ, შევსება - წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკით და პარაპეტის სათავეზე მოწყობილია რკინაბეტონის სარტყელი, რომელიც აერთიანებს და აკავშირებს ყველა გულარს. საპროექტო შენობას გააჩნია ორი შიდა კიბის უჯრედი, რომელიც მთლიანად გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონში.

საპროექტო დოკუმენტაციაში ასევე წარმოდგენილია საპროექტო შენობის და ამავე საკადასტრო საზღვრებში არსებული შენობა 01/9-ის დამაკავშირებელი რკინაბეტონის ხიდის კონსტრუქცია. მისი კონსტრუქცია წარმოადგენს ცალკე მდგომ ნაგებობას და გააჩნია ორივე შენობასთან სადეფორმაციო და სეისმური ნაკერი. საძირკვლებს წარმოადგენს რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები დიამეტრით 1000 მმ, სიგრძით 12,0 მ. ხიმინჯების განლაგება ემთხვევა ხიდის დგარების განლაგებას, ხოლო ხიმინჯების შემკრავად გამოყენებულია რკინაბეტონის ფილა როსტვერკი, სისქით 500 მმ. ხიდის საძირკველსზედა ნაშენი წარმოადგენს კარკასს, სვეტებით და გადახურვის ფილა-რიგელებით. გეგმაში ხიდის კონსტრუქცია პარალელოგრამის ფორმისაა. ხიდი გადახურულია იგივე ტიპის რკინაბეტონის ფილა-რიგელებით.

`

პროექტში გათვალისწინებულია დღეისათვის საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნები. სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების განუხრელი დაცვა.

საპროექტო შენობის მიმდებარე ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის სიჩქარე - 37,0 მ/წმ;

თოვლის საფარის წონა - 0,50 კპა;

საერთო მიკროდარაიონებისა (პნ.01.01-09) და მიხედვით სეისმურობად მიღებულია 8 ბალი MCK-64 სკალით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, დანართი №2-ის თანახმად, სამშენებლო ტერიტორიაზე ამგები გრუნტების ფენაში მოცემულია 6 ფენა და 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (იხ. დანართი 2).

გრუნტის წყალი გამოვლენილია ყველა ჭაბურღილში მიწის ზედაპირიდან 3,2 მ და 5,0 მ სიღრმეზე. იგი არ ავლენს აგრესიულობას ნებისმიერი სტანდარტის ბეტონის და არმატურის მიმართ.

შენობის საანგარიშო მოდელში, მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციული ელემენტების არმირება შესრულებულია ДСТУ 3760-98-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. ელემენტების ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლად მიღებულია შემდეგი მონაცემები: ბეტონი სიმტკიცის კლასით კუმშვაზე B 25 – E=3.0e+006 ტ/მ^2; v=0.2; R_0=2.75 ტ/მ^3; არმატურა კლასით A240C - E=2.1e+007 ტ/მ^2; R_s=23000 ტ/მ^2; A500C - E=1.9 e+007 ტ/მ^2; R_s=45900 ტ/მ^2.

ინსპექტირებაზე მოთხოვნილია საპროექტო შენობის მშენებლობისას მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის შეფასება. ამ მიმართულებით კვლევისთვის წარმოდგენილია დანართი 3, რომელზეც მოცემულია საერთო გენ-გეგმა აღნიშნული ტერიტორიის. საპროექტო შენობასთან მიბმულია მომიჯნავე არსებული შენობა-ნაგებობები. დატანილია გზები, ბილიკები და გამწვანება. საპროექტო შენობა ყველაზე ახლოს მდებარე საკადასტრო საზღვებიდან, ჩრდილოეთის მხრიდან დაშორებულია დაახლოებით 16,0 მ-ით. მას გააჩნია ყველა მხრიდან სამანქანო მისასვლელი გზები. ყველაზე ახლოს მდებარე შენობები, რომლებიც იგივე საკადასტრო საზღვრებშია დაახლოებით დაშორებულია სამხრეთით 13,0 მ, დასავლეთით - 30,0 მ-ზე მეტი მანძილით, ხოლო აღმოსავლეთით თავხელიძის ქუჩის გასწვრივ მდებარე შენობები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენს ავტოსარემონტო დანიშნულების ერთსართულიან ნაგებობებს, ს/კ: №01.14.03.039.011, №01.14.03.039.026, №01.14.03.039.016, №01.14.03.039.009 საპროექტო შენობიდან დაშორებულია დაახლოებით 35,0 მ-ით. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საპროექტო შენობა ყველაზე ახლოს განთავსებულია ამავე საკადასტროზე სამხრეთით მდგომ ნაგებობასთან 01/9, რომელსაც უკავშირდება ხიდის საშუალებით. ხიდის კონსტრუქციებში გათვალისწინებულია ხიმინჯოვანი საძირკველი, რათა ზეგავლენა არსებულ

`

შენობაზე შემცირდეს მინიმუმამდე. ყველაზე უახლოესი ხიმინჯი არსებული შენობიდან დაშორებულია დაახლოებით 2,5 მ მანძილით. ასევე საპროექტო შენობა ყველაზე ახლოს განთავსებულია ამავე საკადასტრო საზღვრებში მდებარე სამედიცინო ლაბორატორიის შენობასთან 04/6. საპროექტო შენობა არსებული სამედიცინო ლაბორატორიის შენობიდან დაახლოებით დაშორებულია 6,0 მ მანძილით. აღნიშნული მანძილი მიღებულია მხოლოდ შენობების კუთხეების შემაერთებელ დიაგონალურ მიმართულებაზე. ამიტომ საძირკვლების ჩაღრმავება და მათი სხვადასხვა დონეზე განსხვავება გავლენას ვერ მოახდენს არსებული სამედიცინო ლაბორატორიის შენობის მდგრადობაზე. ზემოთ აღწერილ სხვა მომიჯნავე შენობებზე გამომდინარე საპროექტო შენობის მდებარეობიდან და დაშორებიდან ზეგავლენა ვერ ექნება და უსაფრთხოა როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე მისი ექსპლუატაციის პერიოდში.

უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია სამშენებლო კომპანიამ დაამუშაოს მშენებლობის წარმოების პროექტი, სადაც გასათვალისწინებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დაიგეგმოს, ისე რომ ვიბრაციული ზემოქმედებები შემცირებული იყოს მინიმუმამდე. მშენებლობის ეტაპზე მნიშვნელოვანია გრუნტში რხევითი სიჩქარის გაზომვითი სამუშაოების წარმოება და კონტროლი. 5 მმ/წმ-ზე მაღალი პიკური სიჩქარის დაფიქსირების შემთხვევაში, ვიბრაციის დონემ და დინამიკურმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მომიჯნავე შენობების სხვადასხვა სახის დაზიანებები, ან ამ ეტაპზე შეუმჩნეველი და დასაშვები დეფორმაციების განვითარება. სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია უსაფრთხოების ნორმების დაცვა, მტვრისგან დამცავი ბადეების მოწყობა და სახიფათო ზონებში შესაბამისი დამცავი ბარიერების მონტაჟი.

ამრიგად, დ. ცანავას მიერ დამუშავებული ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩა №23-ში (ს.კ. №01.14.03.039.015) სამედიცინო კლინიკის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატიული წესებისა და მოთხოვნების დაცვით. საპროექტო შენობასთან ყველაზე ახლოს მდებარე მომიჯნავე შენობების მდგრადობის კუთხით მიზანშეწონილია სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას გრუნტის მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების სიდიდე MCK-64 სკალით არ აღემატებოდეს 3 ბალს, ან მაქსიმალური რხევითი სიჩქარის ზღვარი არ აღემატებოდეს 5 მმ/წმ.

`

დასკვნა

დამკვეთის, შპს „კავკასიის მედიცინის ცენტრის“ მიერ მოთხოვნილია ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩა №23-ში (ს.კ. №01.14.03.039.015) სამედიცინო კლინიკის შენობის მშენებლობისას ზეგავლენის შეფასება არსებულ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კონსტრუქციული პროექტის მიხედვით (მშენებლობის ტექნოლოგიისა და ხარისხის კონტროლის დაცვით) აგებული შენობა საიმედოა და უსაფრთხო შემდგომი ექსპლუატაციისთვის და პროექტში მიღებული საინჟინრო გადაწყვეტების საფუძველზე ახალი საპროექტო შენობის სამონტაჟო სამუშაოები უსაფრთხოების ნორმების დაცვის პირობებში არ უქმნის საფრთხეს მომიჯნავედ არსებული ნაგებობების ზიდვის უნარს და ვერ მოახდენს ზეგავლენას მათ მდგრადობაზე, რის საფუძველზეც პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება და მისაღებია მშენებლობის წარმოებისათვის.

ინსპექტორი /ლ. ფირყულაშვილი/

გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტი

1. სამშენებლო ნორმები და წესები СНиП ნაწილი 1;
2. სამშენებლო ნორმები და წესები СНиП ნაწილი 2;
3. სამშენებლო ნორმები და წესები СНиП ნაწილი 3;
4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N 71);
5. ტექნიკური რეგლამენტი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილება);

- ტექნიკური რეგლამენტი- „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“;
- ტექნიკური რეგლამენტი- „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“;
- ტექნიკური რეგლამენტი - „ სეისმომედეგი მშენებლობა“;
- ტექნიკური რეგლამენტი- „სამშენებლო კლიმატოლოგია“.

`


ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ
ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ
PhD
DIPLOMA


GEORGIA
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
PhD
DIPLOMA
DOC№ 000342
By the decision N 1 March 28, / 2013 . /
of the Dissertation Council of the Faculty of
Civil Engineering
Mr. Levan Pirkulashvili
was awarded PhD Degree in Construction Engineering
Calculation and Construction of the New Type
Prestressed regular(Structural) Spatial Structure
(Doctor's Thesis)
of the Roofing for Buildings and Structures
Registration № 00347
Tbilisi
7 10 2013
საქართველო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორის
დიპლომი
DOC№ 000342
სამშენებლო
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს 2013 წლის 28 . 3
№ 1 გადაწყვეტილებით ლევან ფირკულაშვილს
მიენიჭა ინჟინერიის
დოქტორის აკადემიური ხარისხი
შენებლობაში.
შენობა-ნაგებობების გადახურვის ახალი ტიპის წინასწარ
(სადისერტაციო ნაშრომის სათაური)
დაძაბული რეგულარული (სტრუქტურული) სივრცითი კონსტრუ-
ქციის განგარიშება და კონსტრუირება
დეკანი / ზურაბ გედენიძე /
Dean / Zurab Gedenidze /
რექტორი / არჩილ ფრანგიშვილი /
Rector / Archil Prangishvili /
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
LEGAL ENTITY 211349192



მაგისტრის დიპლომი

MASTER'S DIPLOMA

GEORGIA
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
MASTER'S
DIPLOMA

AA № 000546

This is to certify that by the decision June 25, 2008
of the Civil Engineering faculty
of the Georgian Technical University
Mr. Levan Pirkulashvili
born on May 8, 1985
was awarded an academic Degree of Master
with honours with a Major in Civil Engineering

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi September 18, 2008. Registration No 01245

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მაგისტრის
დიპლომი

AA № 000546

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო
ფაკულტეტის 2008 წლის 25. 6 გადაწყვეტილებით
ლევან ფირკულაშვილს
დაბადებულს 1985 წლის 8 მაისს
მიენიჭა მშენებლობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხი წარჩინებით.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 18/09/2008 რეგისტრაციის № 01245

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ბაკალავრის დიპლომი

BACHELOR'S DIPLOMA

დამკვეთი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
შემსრულებელი: საგამომცემლო-პოლიგრაფიული სახლი კავკასია
ს.ტ.ს. ლიცენზია № 7 — 0158

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000684

This is to certify that Mr./Ms. Levan Pirkulashvili (Name, Surname)

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006

completed the requirements of Faculty of Civil Engineering

Bachelor's Degree of the University

with major in Industrial and Civil Engineering

By the decision of the State Qualification Commission September 19, 2006. (Month, Day, Year) Mr. Levan Pirkulashvili (Name, Surname)

was awarded the Academic Degree of

Bachelor of Civil Engineering

Seal

Rector [signature]

Dean [signature]

City: Tbilisi

Registration # 05593

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000684

გეძლევა ლევან ფირქულაშვილს

მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006

წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სამშენებლო

ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის

სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2006 19. 9 (წელი, რიცხვი, თვე) გადაწყვეტილებით

ლევან ფირქულაშვილს მიენიჭა

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მშენებლის

კვალიფიკაცია

ბ.ა.

რექტორი [signature]

დეკანი [signature]

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 05593


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ლევან
LEVAN
გვარი / LAST NAME
ფირკულაშვილი
PIRKULASHVILI
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მ / M
პირადი No / PERSONAL No
36001008107
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
08.05.1985
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
24.08.2032
ბარათის No / CARD No
20IF66537
ხელმოწერა
SIGNATURE


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
საგარეჯო
SAGAREJO
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
24.08.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE020IF66537236001008107<<<<
8505084M3208243GE0<<<<<<<<<<<0
PIRKULASHVILI<<LEVAN<<<<<<<<<<

დანართი №3

ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი
საპროექტო გენგეგმა
მასშტაბი 1:500

ი.მ. ჯესიკ ჯამბაზიშვილი

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. №23 (ს/კ 01.14.03.039.015)
სააქციო საზოგადოება "მეგა-ლაბი"-ს (ID 405211319) და შპს "კავკასიის მედიცინის ცენტრი"-ს (ID 404925747)
საკუთრებაში არსებული 23799 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის *UTM* პროექცია

- სცხოვრ. შენობა
- არასაც. შენობა
- ფარდული
- მშ მშენებარე
- სატრანსფორმატორო ჯიხური
- ლ ლითონის არასაცხოვრებელი შენობა
- ლითონის ღობე ბეტონის ფუნდამენტზე
- ლითონის ღობე
- ხის ღობე
- მავთულის ღობე
- კედელი
- მაღალი ბეტონის ღობე
- დაბალი ბეტონის ღობე
- ფლატე
- ბორდიური
- გზა ასფალტის საფარით
- გზა მოხრეშილი
- გზა ბეტონის საფარით
- რკინიგზა
- წიწვოვანი ხე
- ფოთლოვანი ხე
- ხილკენკროვანი ხე
- მოჭრილი ხე
- პალმა
- გაზონი
- ხე გამხმარი
- ვაზი
- ჭა
- ონკანი
- რეპერი
- გაზის ჭა
- ბალახი
- ბუჩქი
- ბუჩქი ყვავილიანი
- ბუჩქნარი გაუვალი
- ბეტონის ბოძი
- რკინის ბოძი
- ხის ბოძი
- კიბე
- 500.52 სიმაღლის ნიშნული
- სამეთვალყურეო ჭები
- გიდრანტი (წყლის ჩამკეტი ჭები)
- გარე განათება
- სვეტაფორი
- ელ. გადამცემი ხაზი
- წყალგაყვანილობა
- გაზი
- კანალიზაცია
- სანიაღვრე
- კავშირგაბმულობა
- ელ. ქსელები დაბალი ძაბვის
- ელ. ქსელები მაღალი ძაბვის
- გათბობა
- საგზაო ნიშნები
- ძეგლი
- დროშა
- ფანტანი
- ჭაობი

შენიშვნა:
- რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- მომიჯნავედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

ი.მ. ჯესიკ ჯამბაზიშვილი პ.ნ.57601062664

ქ.თბილისი, მიხეილ ბურძგლას ქ. №74. №74ა. №74ბ

beso.jambazishvili.91@bk.ru tel: 598 50 73 66

დირექტორი:		ბ. ჯამბაზიშვილი
აზომა:		ბ. ჯამბაზიშვილი
დახაზა:		კ. კირკიტაძე
დამკვეთი		სს "მეგა-ლაბი" შპს "კავკასიის მედიცინის ცენტრი"
მასშტაბი: 1:500		24.03.2025წ.

ფორმატის PAPER SIZE: A3+ | პროექტის № PROJECT №: ... | ფაილის სახელი FILE NAME: ...

ლეგენდა LEGEND
- საპროექტო ტერიტორიაზე ახალი შენობის განთავსების ამგებლი
- ზღუდავები
- სახანძრო კიდრანტი
- შპს "ორბელის უნივერსიტეტის" საზღაურის მოწყობა

შენიშვნები NOTES
1. ...
2. ...
3. ...
4. ...



მთავარი PRINCIPAL
ი.მ. ჯესიკ ჯამბაზიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი, მ. წერეთლის 2, ბინა 3
(995 32) 2 60 60 60 მობ.: 598 73 66 66
E-mail: info@archcouncil.ge
www.archcouncil.ge

პროექტის PROJECT
კავკასიის მედიცინის ცენტრის ახალი შენობის პროექტირება
Caucasus Medical Centre

მისამართი ADDRESS
ქ. თბილისი, ავლაბრის ქუჩა № 23
ს.კ. 01.14.03.039.015
Tbilisi, Kavtaradze street, 23

პოზიციები Position	სახელი, გვარი Name, Surname	ხელმოწერა Signature
დირექტორი Director	ბ. ჯამბაზიშვილი	
დირექტორი Director	ი. ბურძგლაძეს	
დირექტორი Director	ნ. ალხაზიშვილის	
მთ. ხელმძღვანელი Chief Architect of the Project	ნ. ალხაზიშვილის	
კონსტრუქტორი Constructor	დ. ცინცაძე	
მთ. ტექნოლოგი Chief Technologist	ტ. ჯოჯუა	
შემსრულებელი Performing work	ნ. ალხაზიშვილის	
შემოწმებულია Checked by		

APEX Studio 1

შპს "არქიტექტორების სახლი"
ARCHITECTURE

მასშტაბი SCALE	1:500	თარიღი DATE OF ISSUE	30.04.2026
ნახაზის DRAWG.		რედაქციები REVISIONS	
		№	კორექტირების ნომერი REV. NO. / თარიღი DATE
		1	
		2	
		3	

სტადია STAGE	ფაზები INDEX	ფურც. PAGES
პროექტის სამუშაო ნახაზები Working Drafi	A.GM	A-

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.14.03.039.015**

განცხადების ნომერი: **882019894675**

მომზადების თარიღი: **04/11/2019**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **23799 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:1500

10 20 30 40 50

05/25 მშენებარე ნაგებობა

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მიწისქვეშა ნაგებობა

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი